საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000085772189918

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **36** **07 / ნოემბერი / 2018 წ.**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მთის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“-ს მე-7 მუხლის, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 31 ივლისის სხდომის №11 ოქმის ამონაწერით მიღებული თანხმობის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მთას, რომლის კოორდინატებია: ჩრდილოეთ განედის $42^{0}23'23''$ და აღმოსავლეთ გრძედის $45^{0}13'22''$, სიმაღლე ზღვის დონიდან 3 276, 1მეტრი, ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად;

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიამ, ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, ცხობარებისა და სხვა დამზადება, გავრცელება და სხვა);

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს ამ განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გადაუგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, აგრეთვე უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე;

4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი